ქ. წალენჯიხა

24 აგვისტო 2022 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის
სხდომის ოქმი N5

2022 წლის 24 აგვისტოს ჩატარდა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბაჩანა ქანთარია. ესწრებოდნენ კომისიის შემდეგი წევრები: ომარ ქარდავა, ნანა ქობალია, დათო მესხია, გონერ კვარაცხელია, თემურ ქარდავა, საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე-ავთანდილ გაბელია, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე-გიორგი დარსალია, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე თამარ ბელქანია, მერის მოადგილე ივანე ბურდული.

დაწყების დრო: 15:00-სთ.
დასრულების დრო: 15:30-სთ

დღის წესრიგი:

1. "წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 თებერვლის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

პროექტის წარმდგენი: თეა სარია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

2. "წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე და საკრებულოს აპარატზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული საწვავისა და მობილური ტელეფონების ხარჯების ლიმიტის დაწესების შესახებ" წალენჯიცის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 თებერვლის N10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

პროექტის წარმდგენი: ბაჩანა ქანთარია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

3. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პორთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე საკრებულოს თავმჯდომარისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

პროექტის წარმდგენი: ბაჩანა ქანთარია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

4. სხვადასხვა

მოისმინეს 1. "წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 თებერვლის #2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხზე მოხსენება გააკეთა მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა თეა სარიამ. მან დაწვრილებით გააცნო საკრებულოს წევრებს ცვლილებები (დანართი თან ერთვის) ამ საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს ქონდათ შენიშვნები და წინადადებები. საკრებულოს თავმჯდომარემ კორნელი სალიამ მიმართა კითხვით მომხსენებელს, როგორ ხდება ა(ა)იპ-ებზე თანხის გადანაწილება და რამდენი პროცენტით ხდება ზრდა. ასევე, მან თხოვნით მიმართა ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელებს, რომ საკრებულოს სხდომაზე წარმოადგინათ საშტატო ერთეულებზე გათვალისწინებული ხელფასები ჩაშლილად. ასევე აღნიშნა, რომ გადასაწყვეტია ქალაქ წალენჯიხის ქვედამაზანდარას უბანში სპორტული მოედნის მოწყობის საკითხი, მოსაძიებელია თანხები მისი რეკონსტრუქციისათვის.

საკრებულოს წევრის თემურ ქარდავას თქმით, გაუსაძლისი მდგომარეობაა ეწერის ადმინისტრაციულ ერთეულში, დაუყოვნებლივაა ეს საკითხი მოსაგვარებელი, ამ მიზნით საჭიროა 50 მეტრის წყლის მილის შეძენა.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეს, ავთანდილ გაბელიამ კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია ობუჯი-ჯაღირას საცალფეხო ხიდის კატასტროფულ მდგომარეობაზე, რომელიც საჭიროებს დაუყოვნებლივ რეაბილიტაციას. რაზეც მერის მოადგილემ ივანე ბურდულმა უპასუხა, რომ დაწყებულია მუშაობა, საპროექტო სამუშაოები უახლოეს პერიოდში მზად იქნება და ეწერის წყლის პრობლემა და ობუჯი-ჯაღირას საცალფეხო ხიდის პროექტები იქნება შესრულებული. თანხები ასევე უნდა განაწილდეს სტიქიის შედეგად დაზარალებულთა, რომლებიც ელემენტარული საცხოვრებელი პირობების გარეშე დარჩნენ, სახლების გასარემონტებლად ან საცხოვრებელი კონტეინერების შესაძენად, ეს პროექტი არის საპილოტე, და ბუნებრივია, დაკავშირებულია გარკვეულ რისკებთან.

საკრებულოს წევრმა მაია მიქავამ დასვა კითხვა, თუ რატომ არ არის თანხები გათალისწინებული სანაგვე ურნების შეძენისათვის, რაზეც ივანე ბურდულმა უპასუხა, რომ სანაგვე ურნებს ველოდებით მ/წლის ოქტომბრის თვეში და აუცილებლად იქნება ასახული ბიუჯეტში.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, ავთანდილ გაბელიამ აღნიშნა, თუ რატომ არის ელ.ენერგიის ხარჯვის სხვადასხვაობა ქ.ჯვარსა და ქ.წალენჯიხაში? რაზეც ქ.ჯვარის დასუფთავების სამსახურის უფროსმა მინდია ჯინჯოლავამ უპასუხა, რომ არის პრობლემა ადმინისტრაციული შენობებზე ინდივიდუალური აბონენტების მიერ დენის უკანონოდ მიერთებაზე, რამდენჯერმე დაისვა საკითხი მათ მიერ, მაგრამ ვერ მოგვარდა, რადგანაც დასუფთავების სამსახურს არ აქვს ადმინისტრაციული ოქმის შედგენისა და ადმინისტრაციული სახდელის დაწესების უფლება, ხოლო შესაბამისი სამსახურები პრობლემის მოგვერებისაგან თავს იკავებენ.

კომისიის წევრების უმრავლესობით, შენიშვნების გათვალისწინებით, საკითხი საკრებულოს სხდომაზე განსახილვისათვის მომზადებულად მიიჩნიეს.

მოიმინეს 2. "წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე და საკრებულოს აპარატზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული საწვავისა და მობილური ტელეფონების ხარჯების ლიმიტის დაწესების შესახებ" წალენჯიცის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 თებერვლის N10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მოხსენება გააკეთა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბაჩანა ქანთარიამ(დანართი თან ერთვის). ამ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს შენიშვნები და წინადადებები არ ჰქონიათ.

მოისმინეს 3. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პორთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე საკრებულოს თავმჯდომარისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

საკითხი განსახილველად გამოიტანა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბაჩანა ქანთარიამ(დანართი თან ერთვის). საკითხზე შენიშვნები და წინადადებები არ დაფიქსირებულა და ერთხმად ჩაითვალა საკრებულოს სხდომაზე განხილვისათვის მომზადებულად.

ამით საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომამ დაასრულა მუშაობა.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე /ბაჩანა ქანთარია/